პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 218 (7779)
15 ნოემბერი
ხუთშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

საშბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

11 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მ. გ. ჩიბურდანიძე.

საუბრის დროს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გულთბილად მიულოცა სახელგანთქმულ ქართველ სპორტსმენს გამარჯვება მსოფლიო პირველობისთვის გამართულ მატჩში, ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ყოველნაირად განვითარდეს ჭადრაკი რესპუბლიკაში, მსოფლიო ჩემპიონს ურჩია უკვე ახლა დაიწყოს მზადება შემდეგი მატჩისთვის. მან მ. გ. ჩიბურდანიძეს უსურვა ჯანმრთელობა, წარმატებანი სწავლაში, ახალი გამარჯვებანი საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. გოგლიძე.

(საქინფორმი).

დიდი დათვალიერება

ასე შეიძლება ეწოდოს საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეთა პირველობას, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წლისთავის დღეებში ჩატარდა სოხუმში. სარბიელზე 208 სპორტსმენი გამოვიდა. საზეიმოდ მორთულ აფხაზეთის დედაქალაქს ეწვივნენ სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ჭიათურიდან, საჩხერიდან, ვანიდან, ტყიბულიდან, ცხაკაიადან, ცხინვალიდან, ახალციხიდან, ფოთიდან, გაგრიდან, გუდაუთიდან, გორიდან, გარდაბნიდან, ბათუმიდან.

მონაწილეთა შორის იყო 1969 წელს დაბადებული 106 სპორტსმენი, რომელთა ტურნირი ცალკე, დამოუკიდებლად ჩატარდა. ძირითად ბრძოლაში 1968 წელს დაბადებული 102 მოკრივე ჩაება. აქ იყვნენ „განთიადის“, „შრომითი რეზერვების“, „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნის“, „ლოკომოტივის“, „ვოდნიკის“, ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური და საქალაქო სპორტული სკოლების აღსაზრდელები.

რა დაგვანახვა ამ „დიდმა დათვალიერებამ?“ ბევრი კარგიც და ნაკლიც. როცა ნაკლზე ვლაპარაკობ, უწინარეს ყოვლისა, 1969 წელს დაბადებულ სპორტსმენებს ვგულისხმობ, რომლებიც საკმაოდ სუსტად იყვნენ მომზადებული. მართალია, ყველაზე ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებას ხომ ერთი და ორი სპორტსმენი არ ქმნის?

რაც შეეხებათ 1968 წელს დაბადებულ ყმაწვილებს, ვფიქრობთ, მწვრთნელებს სერიოზული მუშაობა მოუწევთ რამდენიმე წონითი კატეგორიის მოკრივეებთან.

იმედი გაამართლეს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებმა; საინტერესო ყმაწვილებიც გამოჩნდნენ. შეიძლება, ბევრი არ გამოდგეს ნაკრებში, მაგრამ თვითმყოფობა იგრძნობა ამ ბიჭებში და ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ზურაბ გუნიას, ჩვენი აზრით, აქვს არჩევანის საშუალება, ყოველ შემთხვევაში, ახლა, ამ ეტაპზე, თან, არც ის იქნება სწორი, რომ 1969 წელს დაბადებულებზე უარი ვთქვათ. შეუპოვარი შრომით მათაც შეიძლება აინაზღაურონ დანაკლისი. ერთი სიტყვით, 40-მდე მოკრივის გვარი უკვე ჩაინიშნეს უბის წიგნაკებში ნაკრების ხელმძღვანელებმა — თითქმის მთელი სამი შემადგენლობა.

გამოჩნდა პირველი მერცხალიც — ცხაკაიელ მოკრივეთა ჯგუფი, რომელთაგან ერთი — ზვიად ხარბედია ფინალშიც კი გავიდა. მოულოდნელი იყო ჭიათურელთა დიდი წარმატებაც. მართლაც დიდი ჯაფა გაუწევია ჭიათურელ სპორტის ოსტატ თემურ ლორთქიფანიძეს, რომლის აღზრდილებიდანაც სამმა მოიპოვა გამარჯვება.

ჩვენი აზრით, არბიტრები საკმაოდ ობიექტურად სჯიდნენ ტურნირს. მორალური გავლენის თვალსაზრისით უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტურნირზე ცნობილი არბიტრების, მოსკოველი საკავშირო კატეგორიის მსაჯის, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნიკოლაი პუჩკოვისა და სარატოველი საკავშირო კატეგორიის მსაჯის ვლადიმერ კლიმაჩოვის მოწვევას. ხალხი საიდან ჩამოვიდა და ჩვენმა ზოგიერთმა გამოცდილმა მსაჯმა კი არ იკადრა, თავი აარიდა ამ ასპარეზობას. ესენი არიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნიკოლოზ აირაპეტიანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ერასტი ერისთავი და რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯი ანზორ კავკიევსკი.

მსაჯების მუშაობა ასე შეაფასა პირველობის მთავარმა არბიტრმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ნოდარ კვირკველიამ:

— საერთოდ, ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში მსაჯობის ხარისხი ამაღლდა. გამოჩნდნენ ნიჭიერი არბიტრები, მაგრამ ერთი-ორი ტურნირით მაინც ვერ ვიმსჯელებთ მათ საერთო დონეზე. ისე კი, ჯერ საკმაოდ ბევრი მუშაობა სჭირდებათ საკუთარ თავზე. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და დიდი მადლობა მოვახსენო ნიკოლაი პუჩკოვსა და ვლადიმერ კლიმაჩოვს დახმარებისთვის. მათგან ბევრს ისწავლიან ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის სპორტკომიტეტმა მაღალ დონეზე ჩაატარა ეს შეჯიბრება. ხუმრობა როდია, ისე მოემსახურო 208 სპორტსმენს, მათ მწვრთნელებს, გუნდების წარმომადგენლებს, მსაჯებს, რომ ერთი საყვედური, ერთი პრეტენზიაც არავინ გამოთქვას.

...ერთი სიმპათიური, შუახანს ოდნავ გადაცილებული კაცი გულდასმით „დაეძებდა“ რაღაცას, ინიშნავდა, იმახსოვრებდა. ეს კაცი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დიმიტრი დადიანი გახლდათ. იგი მართლა დაეძებდა — ბაჯაღლოს ეძებდა, ძვირფას ლითონს.

— იპოვეთ, ბატონო დიმიტრი?

— აბა, როგორ გითხრათ, ვაშას ძახილი ჯერ ადრეა, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ. ეს ყველაზე ხალხმრავალი ტურნირი იყო და საშუალება მოგვცა თითქმის ყველა სპორტსმენი შეგვემოწმებინა. გვახარებს, რომ კარგად მუშაობენ „შრომითი რეზერვები“, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სკოლები, „ბურევესტნიკი“, „განთიადი“. საბედნიეროდ, უკვე აშკარად იგრძნობა კრივის განვითარება-გაფართოების ტენდენცია. თუმცა, საყვედურის გარდა ვერაფერს ვიტყვით „სპარტაკის“ მიმართ. „დინამოში“ კი... კრივი საერთოდ გაქრა.

...კიდევ ის მომეწონა, რომ უდავოდ ამაღლდა შეჯიბრების კულტურა, ამან კი არ შეიძლება ნაყოფი არ გამოიღოს.

ახლა წონითი კატეგორიების მიხედვით გაგაცნობთ საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს: რუდიკ კაზანჯიანი, ტიგრან უზლიანი, პაატა შუბითიძე, კამო ლარიბოვი, დავით შარვაშიძე, ზაზა ურეკაძე, გიორგი მოდებაძე, ემზარ გაბუნია, ბესო გურჯია, ჯამბულ ქოქოევი, ირაკლი ჭუმბურიძე, კახაბერ სირბილაძე, ნიკოლოზ სეთური, სპარტაკ ასანიძე.

თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, ფოთელმა სერგეი კაპლინმა, თბილისის „ბურევესტნიკის“ წევრებმა ჟან აბრამიანმა და მიხეილ ჩალაძემ, ქუთაისელმა მამუკა მიქაძემ, სოხუმელმა ემზარ ნინუამ და სხვ. ტურნირში გამარჯვებულებთან ერთად, პირველ ყოვლისა, ამ ფინალისტებმა უნდა იბრძოლონ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრისა და დამკვიდრებისთვის. წინ არის საპასუხისმგებლო შეჯიბრებები. ივლისში კიევში ჭაბუკთა I თამაშები ტარდება და ამ დროისთვის გუნდი მზად უნდა იყოს...

დავით ჭელიძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

ისევ შესვენება

გუშინ მოსკოვში კარპოვ — კასპაროვის მატჩის ოცდამეთხე პარტია უნდა გამართულიყო. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა „ტაიმ-აუტი“ აიღო და შეხვედრა არ შედგა. იგი გადატანილია 16 ნოემბრისთვის.

შეგახსენებთ, რომ მატჩში ლიდერობს ანატოლი კარპოვი — 4:0 (+4—0=19).

კიშინიოვის ტატამზე

კიშინიოვში დამთავრდა საკავშირო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 1969-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 ქალაქის 24 გუნდი. ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო თბილისის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლით. ქართველმა ძიუდოისტებმა შესანიშნავად იასპარეზეს — დაიკავეს გუნდური პირველი ადგილი. პირად პირველობაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ჯაბა ნარიმანიშვილი (+83 კგ, I ადგილი), ვაჟა ლომიშვილი (+83, II ადგილი), გიორგი მერაბიშვილი (75, III ადგილი), ლევან ხარებავა (53 კგ, III ადგილი).

გუნდს შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ კოტე შაბურიშვილი და გია ჩიტაშვილი.

დებიუტანტი

ჯაბა ნარიმანიშვილი
ძიუდო

დაიბადა 1970 წლის 15 მარტს თბილისში.
სიმაღლე 175 სმ, წონა 100 კგ.
ვარჯიში დაიწყო 1982 წელს.
პირველი მწვრთნელი სოსო გვენეტაძე.
თბილისის 39-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.
ვარჯიშობს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლაში, მწვრთნელი — კოტე შაბურიშვილი.
1983 და 1984 წლებში იყო საქართველოს ჩემპიონატების ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი.
1983 და 1984 წლებში მოიგო საკავშირო ტურნირები 1969-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

RALLYE TEAM
81
PME 333

რალი

„ფოთოლცვენა-84“

25 ნოემბერს კიდევ ერთ, წლევანდელ სპორტულ სეზონში უკანასკნელ რალის აწყობს ავტომოყვარულთა ცენტრალური საბჭო.

ეს შეჯიბრება თანდათან იხვეჭს პოპულარობას. რალში მონაწილეობა შეუძლია ავტომობილის ყველა მფლობელს. ამასთან ტრასა, რომლის სქემასაც მონაწილენი უშუალოდ სტარტის წინ იღებენ, მრავალფეროვანი და საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ იგი საქართველოს ბევრ ისტორიულ ძეგლსაც ჩაუვლის. „ლეგენდა“ ანუ მარშრუტის სქემა ხანდახან ისეთ სოფლებსა და ადგილებზე გაატარებს შეჯიბრების მონაწილეებს, მანამდე რომ არც უნახავთ და არც გაუგონიათ. საკმარისია ამას დავუმატოთ ნებისმიერი მძღოლისთვის ხელმისაწვდომი საშეჯიბრებო რეჟიმი (მაქსიმალური სიჩქარე არა უმეტეს 50 კმ/სთ) და გზის სწორად გაგნების ერთობ საინტერესო და ემოციური პროცესი, რომ რალში მონაწილეობის სურვილი გაუჩნდეს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანს.

„ლეგენდის“ (მარშრუტის შერჩევასა და მომზადებას საკმაო დრო, ენერგია და გამოცდილება სჭირდება) ავტორია ავტომოყვარულთა კლუბის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გოგა დავიდოვი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი — ამავე კლუბის წევრი და ასევე ოსტატობის კანდიდატი დავით ლოლუა.

მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 23 ნოემბერს 10 საათზე (ნუცუბიძის პლატო, I მიკრო-რაიონი, IV კორპუსი), წინასწარი ტექდათვალიერება — 24 ნოემბერს აქვე დილის 10 საათიდან. ძირითადი ტექდათვალიერება დანიშნულია 25 ნოემბერს 8 საათზე რიყის მოედანზე, 10 საათზე კი პირველი ავტომობილი მესტარტის ნიშანზე გზას გაუდგება.

მივხედოთ საქართველოს ჩემპიონატს

რესპუბლიკის ჩემპიონატი ხელბურთში წელს ახალი სისტემით გაიმართება: თუ ადრე გუნდები ერთ რომელიმე ქალაქში ერთ წრედ ატარებდნენ ტურს და ამ გზით ავლენდნენ გამარჯვებულს, ახლა ისინი აღმოსავლეთის და დასავლეთის ზონებად არიან დაყოფილნი. თითოეულ ზონაში ოთხ-ოთხი გუნდია, ისინი ორ-ორ თამაშს ატარებენ ერთმანეთთან შინ და მეტოქის მოედანზე. ზონებში პირველ და მეორე ადგილებზე გასულთ დაემატებათ კიდევ ორი გუნდი თბილისის ჩემპიონატიდან. ამრიგად, ფინალურ ტურნირში რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლენად 6 გუნდი იასპარეზებს. ეს შეჯიბრება 7-12 დეკემბერს თბილისში გაიმართება.

აღმოსავლეთის ზონის ტურნირში დაშვებულია თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის გუნდი. უნდა ითქვას, რომ ნორჩებმა წარმატებით გაართვეს თავი უფროსებთან ჭიდილს და სატურნირო ცხრილის სათავეშიც კი მოექცნენ. დასავლეთის ზონაში აშკარაა ქუთაისელთა უპირატესობა. ორივე გუნდს განაღდებული აქვს ფინალის საგზური.

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა — ჩემპიონატი ნორმალურად ტარდება, მაგრამ... სამწუხაროდ; ზოგიერთი გუნდი და მათი ხელმძღვანელები არასერიოზულად ეკიდებიან რესპუბლიკის ჩემპიონატს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოასპარეზენი თამაშზე არ ცხადდებიან. მაგალითად, აჭარელ ხელბურთელებს სამტრედიაში ჩასვლა დაეზარათ და, ცხადია, წაგება ჩაეთვალათ, ქუთაისელებს კი თურმე სოხუმი ეშორათ და სახლში დარჩენა გადაწყვიტეს. არც სამტრედიელები ჩასულან აფხაზეთში... ასე რომ, აფხაზეთის ნაკრებმა უბრძოლველად — არც მეტი, არც ნაკლები — 4 ქულა ჩაიწერა აქტივში. ახლა აღმოსავლეთ ზონაში „გადავიხედოთ“. სამწუხაროდ, არც აქაა ყველაფერი რიგზე. თელავის გუნდმა თავი აარიდა „შორეულ მოგზაურობას“ ცხინვალში და, რაღა თქმა უნდა, ორი ქულაც დაკარგა.

ხელბურთს დღეს ტანმაღალი სპორტსმენები სჭირდება, რამაც რესპუბლიკის ჩემპიონატის დებულებაში უკვე შესაბამისი პუნქტი მოითხოვა. ამიტომ იყო, რომ თელავში მატჩის გასამართად ჩასულ სამხრეთ ოსეთის გუნდს სათანადო სიმაღლის მოთამაშის არყოლის გამო წაგება ჩაეთვალა.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია თავის მორიგ სხდომაზე, ცხადია, იმსჯელებს სპორტსმენთა ასეთ უპასუხისმგებლობაზე, სასურველია დამნაშავეები მკაცრად დაისაჯონ, რათა სხვებმა აღარ გაიმეორონ ეს სამარცხვინო, აშკარად არასპორტული საქციელი.

სპორტის მოყვარულებს გულს სწყვეტს ჩვენში ერთ დროს მოწინავე სპორტის სახეობების ჩამორჩენა. ისიც ფაქტია, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკის სპორტის მესვეურები ცდილობენ აალორძინონ და ძველი დიდება დაუბრუნონ მათ. ცხადია, არც ხელბურთელებს აქვთ უფლება ხელებჩამოშვებულებმა უცქირონ მათ მცდელობას... ის მაინც არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ თუ რესპუბლიკის ჩემპიონატებს სათანადო დონეზე არ ჩავატარებთ, არც საკავშირო სარბიელზე გვექნება წარმატებანი!

თამაზ ყალაბეგაშვილი.

გთავაზობთ გათამაშების ცხრილებს მდგომარეობა 15 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ხელ. სპეც. სკ.	5	4	0	1	173-134	8
რუსთავი	5	3	1	1	135-137	7
სამხ. ოს.	5	1	1	3	80-90	3
თელავი	5	1	0	4	82-109	2

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ქუთაისი	5	4	0	1	119-93	8
სამტრედია	5	2	1	2	84-87	5
აფხაზეთი	5	2	0	3	77-93	4
აჭარა	5	1	1	3	116-123	3



პირველი სპარტაკიადები

1926-1928 წლები საქართველოში მასობრივი სპორტული შეჯიბრებებისა და პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატების ხანა იყო. 1926 წელს ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა დიდი ტურნირი, რომლის დებულება შეიმუშავა ქართული ტანვარჯიშული სკოლის თავკაცმა გიორგი ეგნატაშვილმა. ერთი წლის შემდეგ გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამ შეჯიბრებათა მიზანი იყო იმ უძლიერესი სპორტსმენების გამოვლენა, რომლებსაც საქართველოს ღირსება უნდა დაეცვათ ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი — პირველ საკავშირო სპარტაკიადეებში. მაგრამ მანამდე, უფრო ზუსტად 1928 წლის 2-9 ივნისს, თბილისში მოეწყო რესპუბლიკის პირველი სპარტაკიადა — თავისებური გენერალური რეპეტიცია ამ საპასუხისმგებლო სტარტების წინ.

საქართველოს სპარტაკიადაში 650 ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, გორის, თელავის, ჭიათურის, ზესტაფონის, აგრეთვე სხვა ქალაქებისა და მაზრების წარმომადგენლები. შეჯიბრება ჩატარდა მომავალი საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით.

აღნიშნულ კომპლექსურ შეჯიბრებას მოჰყვა ამიერკავკასიის ფიზკულტურელთა პირველი ზეიმი, რომელიც მეზობელი რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა. სხვათა შორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადის დებულებაში ხაზგასმული იყო, რომ „ზეიმის მიზანს შეადგენს ამიერკავკასიის ხალხების ინტერნაციონალური დამეგობრება, საბჭოთა ფიზკულტურის რევოლუციურ-კლასობრივი სახის ყოველმხრივი დემონსტრირება... საკავშირო სპარტაკიადისთვის მომზადება“.

ამიერკავკასიის სპორტსმენთა ფორუმის პროგრამაში შედიოდა: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, სროლა, ცურვა, ველოსპორტი, ჭიდაობა, თოკის გადაძალვა, ტანვარჯიში და მძლეოსნობა (შეჯიბრებები ხელბურთსა და რიკაობაში კონკურსგარეშე ტარდებოდა და ამიტომაც ჩათვლაში არ იყო შეტანილი). პროგრამის უმეტეს სახეობებში გამარჯვება წილად ხვდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის სპორტსმენებს.

იმავე წლის 12-24 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო მაშინდელი მასშტაბით გრანდიოზული სპორტული დღესასწაული — პირველი საკავშირო სპარტაკიადა. ასპარეზობაში 7125 საბჭოთა ფიზკულტურელთან ერთად მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნების მუშათა სპორტული ორგანიზაციების 612 წარმომადგენელი.

სპორტსმენთა იმ ფორუმში გამოდიოდა ამიერკავკასიის ფედერაციის ნაკრები კოლექტივიც, რომელიც უმთავრესად საქართველოს სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ამიერკავკასიის დელეგაციამ საერთო-გუნდურ ჩათვლაში IV-V ადგილები გაიყო უზბეკეთის რესპუბლიკასთან. სპორტის ცალკეულ სახეობებში შედეგები ასეთი იყო: მძლეოსნობა — V ადგილი, სპორტული თამაშები — IV, სროლა — IV, ცურვა — III, ველოსპორტი — VII, ძალოსნობა — IV, წინაღობათა გადალახვა — III, ფეხბურთი — VI, კალათბურთი — V (ვაჟები) და IV (ქალები), ჩოგბურთი — II.

პირველ საკავშირო სპარტაკიადაში გუნდური გამარჯვება რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიპოვა. შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ უკრაინისა და ბელორუსიის დელეგაციები.

ამ ფოტოზე აღბეჭდილია მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი პირველი სპარტაკიადის დღეებში. სტადიონი საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის აშენდა ლ. ლანგმანისა და ლ. ჩერიკოვერის პროექტით.

აჯამებენ შედეგებს

1985 წლის გაზაფხულზე სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“ არსებობის 50 წლისთავს იზეიმებს. ახლა ამ საზოგადოების წარმომადგენლები თავდადებით ილვწიან, რათა ღირსეულად შეეგებონ ამ ღირსსახსოვარ თარიღს. ჩვენი რესპუბლიკის სპარტაკელები მრავალ საინტერესო ღონისძიებას უძღვნიან იუბილეს, ერთი მათგანია პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტების სპარტაკიადა, რომელიც ახლახანს დამთავრდა თბილისში.

წლევანდელი სპარტაკიადა მრავალმხრივ იყო გამორჩეული — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა აკაკი მეგრელაძემ. პირველ ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობდა 17 სპორტის ოსტატი, 226 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი სპორტსმენი. ამ ღონისძიებამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა თუ როგორ ასრულებენ სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებას მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლის შესახებ ჩვენი რესპუბლიკის დარგობრივი პროფკავშირები.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ყველა იმ პროფესიულ კავშირთა ნაკრებმა გუნდებმა, რომელსაც „სპარტაკი“ აერთიანებს. ასეთი დარგობრივი პროფკავშირი კი თერთმეტია. აქვე დავძენთ, რომ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილე 850 სპორტსმენიდან 276 ქალი იყო, რაც უდავოდ მისასალმებელია. იუბილესადმი მიძღვნილი სპარტაკიადის ორგანიზაციულად ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს დედაქალაქის სპორტული ბაზების ხელმძღვანელებმა. კარგად ორგანიზებული შეჯიბრება, თანაც თუ იგი საუკეთესო სპორტულ ბაზებზე ტარდება, როგორც წესი, სპორტის პროპაგანდის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. ასპარეზობები გაიმართა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში, ჭადრაკის სასახლეში...

პირველ ჯგუფში, რომელშიც მედიცინის, სახელმწიფო დაწესებულების, გეოლოგიის, კულტურის, განათლების, პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ, გაიმარჯვეს განათლების მუშაკებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ მედიცინის მუშაკები, მესამეზე — გეოლოგები. მეორე ჯგუფში პირველობა მოიპოვეს ავტოტრანსპორტისა და საგზატკეცილო გზების სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე კავშირგაბმულობის, ხოლო მესამეზე სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის წარმომადგენლები არიან. მათ გარდა მეორე ქვეჯგუფში ასპარეზობდნენ ადგილობრივი მრეწველობისა, კვების საყოფაცხოვრებო კომუნალური მეურნეობისა და ავიაციის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის ნაკრები გუნდები. სამწუხაროდ, ავიაციის წარმომადგენლებმა სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სპორტის 9 სახეობიდან მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ფრენბურთში (ვაჟები). მათ უპასუხისმგებლობაზე ალბათ საგანგებოდ ვიმსჯელებთ.

სოხუმი, ქუთაისი, თბილისი

„სპარტაკის“ ბავშვთა და მოზარდთა ველოსკოლის სპორტსმენებმა ქუთაისში პირად-გუნდური პირველობა გამართეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავისა და სამტრედიის ასზე მეტი ნორჩი ველოსიპედისტი.

გუნდურ ჩათვლაში წარმატებით იასპარეზეს სოხუმელებმა (მწვრთნელი არტურ ჩკალოვი) და პირველი ადგილი დაისაკუთრეს. ცუდად არც ქუთაისელი სპორტსმენები გამოსულან. საერთო მეორე ადგილი (მწვრთნელი მიხეილ ხარაბაძე) ამ კოლექტივის კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ თბილისელებს (მწვრთნელი ვიქტორ მალცევი).

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება იმ ბავშვების მონაწილეობით, რომლებმაც ველოსპორტში მეცადინეობა წლეულს დაიწყეს. ისინი ძალებს ცდიდნენ 5 კილომეტრიან დისტანციაზე. გოგონათა შორის პირველობა მოიპოვა მანანა ბაცელაშვილმა (თბილისი), ბიჭებში — იგორ სარქისოვმა (რუსთავი).

1966-1968 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა 25 კილომეტრზე იასპარეზეს. აქ ყველას აჯობა ქუთაისელმა ნუგზარ თევდორაძემ — 36.00. სხვათა შორის ქუთაისელმა ველოსიპედისტმა ბაჩუკი ხორგუანმა თავი გამოიჩინა 1969-1971 წლებში დაბადებულთა ასპარეზობაშიც — 36.32. გოგონებში (ისინი ძალებს ცდიდნენ 20 კილომეტრზე) პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა სვეტლანა როგელბერგმა — 34.05.

50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. სოხუმი — 1:12.10, 2. ქუთაისი — 1:13.25, 3. თბილისი — 1:14.00.

აღსანიშნავია, რომ თბილისის გუნდს აკლდა ორი წამყვანი ველოსიპედისტი — ვასილი დავიდენკო და ანდრეი ჩისტიაკოვი, რომლებიც ახლა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საპასუხისმგებლო სტარტებისთვის ემზადებიან.

იოსებ გოცირიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

კალათბურთელთა ხსოვნას მიეძღვნა

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 40 წლისთავს მიეძღვნა გორის მოსწავლეთა პირველობა მინი-ფეხბურთში 1971-72-73 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 საშუალო სკოლის 39 გუნდი.

უმცროსი ასაკის ბავშვთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-7 და მე-10 სკოლების გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მე-7 სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა.

საშუალო ასაკის გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მე-3 სკოლის ფეხბურთელებმა, ხოლო უფროს ასაკში — მე-13 სკოლის გუნდმა.

გამარჯვებული კოლექტივები დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებით.

ილია თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

აწმყო, შობილი წარსულისაგან

გოლი ათასნაირია: ზოგი ძალიან ლამაზია, ზოგი — არც ისე ლამაზი, ზოგი ყუმბარასავით შევარდება ბადეში, ზოგი კარის ხაზზეც ძლივს გადაგორდება. გოლი შეიძლება ლამაზი კომბინაციის ან ფეხბურთელის მაღალი ოსტატობის ნაყოფი იყოს. მაგრამ შეიძლება იყოს კურიოზულიც — ბურთი მოხვდება უიღბლო მეკარის თანაგუნდელს, მეტოქეს ან მსაჯს (კი, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა!) და რიკოშეტით პირდაპირ ბადეში გაეხვევა. არის უნიკალური გოლებიც, კუთხური დარტყმით გასული. ცალი ხელის თითებზე დაითვლი ფეხბურთელებს, ვისაც ასეთი ბურთი გაუტანია და მათ შორის ერთ-ერთია

ილია დათუნაშვილი

არც გოლების ფასია ერთი. არის გოლი ჩვეულებრივი, რიგითი, ვერავითარ გავლენას რომ ვერ მოახდენს მატჩის საბოლოო შედეგზე. არის ისეთი გოლიც, მარტო ერთი, თუნდაც საპასუხისმგებლო შეხვედრის კი არა, ხანდახან მთელი ჩემპიონატის ბედსაც რომ წყვეტს. სწორედ ასეთი გოლი გაიტანა ილია დათუნაშვილმა 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში მოსკოვის „ტორპედოსთან“ გამართულ მატჩში, რომელსაც ქვეყნის საუკეთესო გუნდი უნდა დაესახელებინა. ის გოლი პირდაპირ კუთხურიდან გავიდა. დათუნაშვილს ეს ერთი გოლიც ეყოფოდა სახელად, მაგრამ მარტო საკავშირო ჩემპიონატებში მას 47 ბურთი აქვს გატანილი, ამას დაუმატეთ სამი გოლი თასის გათამაშების მატჩებში და ათი — საერთაშორისო შეხვედრებში. 1966 წელს იგი ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო (20 გოლი). იმავე წელს „არარატთან“ შეხვედრაში თავისებური რეკორდიც დაამყარა, როცა... თუმცა მოდით, ნუ ავჩქარდებით. ჯერ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ტაშკენტში გამართული ის დაუვიწყარი შეხვედრა, მატჩი, რომელსაც ორ საათ-ნახევრის მანძილზე მთელი საქართველო სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალყურს.

მაშ ასე, თბილისის „დინამო“— მოსკოვის „ტორპედო“. შეხვედრის 71-ე წუთი. დინამოელები აგებენ — 0:1. დათუნაშვილი მორიგი კუთხური დარტყმისთვის ემზადება. იმაზე, თუ რა მოხდა შემდეგ, ალბათ ყველაზე უკეთ თვითონ ილია დათუნაშვილი გვიამბობს.

— მეორე ტაიმში გოლი რომ გავუშვით, იმ წუთიდან განუწყვეტლივ ვუტევდით. ტორპედოელები რალაც უწესრიგოდ იგერიებდნენ ჩვენს იერიშებს. ერთ წუთში სამჯერ დავარტყი კუთხური. პირველი ორი ახლო კუთხეში დავარტყი, მაგრამ მცველებმა ორჯერვე პირდაპირ კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი. მესამედ შორ კუთხეში დავუმიზნე. ამან დააბნია მოსკოველთა მეკარე და მცველები. ისინი ისევ ძველ ადგილზე „გამაგრდნენ“, ბურთმა კი ყველას გვერდი აუარა და კარში ჩაეშვა. ამ გოლმა ჩვენს გუნდს რწმენა შემატა. დამატებით დროში დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო. მესხის საუცხოო მოწოდების შემდეგ მე კიდევ ერთი ბურთი გავიტანე. მერე მესხმა და მეტრეველმა თერთმეტმეტრიანებით დააგვირგვინეს საქმე — 4:1. ეს იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი მატჩი, ის გოლი კი, ანგარიში რომ გავათანაბრეთ, დღესაც ყველაზე მეტად მიყვარს.

● **საერთოდ ამბობენ ხოლმე, კუთხური მოაწოდაო, თქვენ კი აი, ახლა რამდენჯერმე თქვით, კუთხურიდან დავარტყიო. შემთხვევითია ეს?**

— არ არის შემთხვევითი. მე მართლაც მუდამ კუთხურის ხაზიდან ვურტყამდი. კარში კუთხურიდან დარტყმა არც ისე იოლი საქმეა და მეც ძალიან დიდ დროს ვუთმობდი ამ ხერხის დამუშავებას როგორც საწვრთნელ ვარჯიშზე, ისე მეცადინეობის დამთავრების მერეც. საათობით ვვარჯიშობდი, ვცდილობდი დარტყმა საბოლოოდ დამეხვეწა და მიხარია, რომ შრომა დამიფასდა. თუნდაც „ტორპედოს“ კარში გასული იმ ერთი გოლისთვის ღირდა ამდენი წვალება.

● **სხვა დროს არ გაგიტანიათ გოლი კუთხურიდან?**

— იმავე 1964 წელს თბილისში ასეთივე დარტყმით გავიტანე ბურთი ბაქოს „ნეფთჩისთან“ მატჩში. შეხვედრა ჩვენ მოვიგეთ ანგარიშით 4:3.

● **თავიდან როგორ გაგიტაცათ ფეხბურთმა?**

— ყველაფერს ბორის პაიჭაძეს უნდა ვუმადლოდე. ჩემი თაობის ბიჭებისთვის ის ნამდვილი კერპი იყო. მე, სამწუხაროდ, არ მინახავს პაიჭაძის თამაში, მაგრამ იმდენი რამ წამიკითხავს და მსმენია მის შეუდარებელ ოსტატობაზე, მწვანე მინდორი ოცნებად გადამექცა. გულში ამოვიჭერი, უთუოდ მეც ფეხბურთელი უნდა გამოვიდე-მეთქი. მართალია, ისეთ მწვერვალებს ვერ მივაღწიე, მაგრამ ფეხბურთი კი სამუდამოდ შევიყვარე. 1955 წელს ლანჩხუთის „კოლმეურნეში“ დავიწყე თამაში.

● **დიდ ფეხბურთში როგორ გაიკაფეთ გზა?**

— ერთხელ მატჩზე ანდრო ჟორდანია დაგვესწრო. იმ დღეს ხუთი ბურთი გავიტანე. შეხვედრა რომ დამთავრდა, ჟორდანიამ ქუთაისის „ტორპედოში“ მიმიწვია — მაშინ ამ გუნდს ხელმძღვანელობდა. 1959 წელს იგი თბილისის „დინამოს“ ჩაუდგა სათავეში და მეც თან წამომიყვანა.

● **იმავე წელს შედგა თქვენი დებიუტი — როსტოვის არმიელებთან მატჩში. მაგრამ რატომ ითამაშეთ მხოლოდ ორჯერ მთელი სეზონის მანძილზე?**

— ის დებიუტი უიღბლოდ დამთავრდა. შეხვედრამდე ორი დღით ადრე მითხრეს, რომ ძირითად შემადგენლობაში უნდა მეთამაშა. ცას ვეწიე სიხარულით, მაგრამ მერე უცებ დავფრთხი, შევშინდი. ორი დღე მომავალი მატჩის მოლოდინში ვიყავი, ვნერვიულობდი, მოსვენება დავკარგე. ერთი სიტყვით, გამოვიფიტე. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მარცხენა გარემარბად უნდა მეთამაშა ისეთი შესანიშნავი ოსტატის მაგიერ, როგორიც ავთანდილ ჭკუასელი გახლდათ. მინდორზე რომ გამოვედი, ასე მეგონა, მთელი სტადიონი მარტო მე მიყურებს-მეთქი. არადა, მატჩზე ჩემი ახლობლები იყვნენ მოსული, ნაცნობები, მეგობრები. არ მინდოდა თავი შემერცხვინა, მაგრამ სწორედ ასე კი მოხდა. მეტისმეტად ვღელავდი. მერე სუსტად ვითამაშე მოსკოვში „ლოკომოტივთანაც“ და კარგა ხნით გადამიყვანეს სათადარიგო შემადგენლობაში.

● **მაგრამ შემდეგი სეზონიდან თქვენ უკვე ძირითად გუნდში თამაშობდით.**

— დიახ, პირველ ყოვლისა, ჟორდანიას დიდი პედაგოგიური ნიჭის წყალობით. სათადარიგო შემადგენლობაში რომ გადამიყვანა, საშუალება მომცა გონს მოვსულიყავი. დრო ხომ ყველაზე დიდი მკურნალია. მეც ნელ-ნელა დავწყნარდი, დავმშვიდდი, მაგრამ ჟორდანია არ ჩქარობდა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოეწყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი მეორე დებიუტი. ვთამაშობდით ისევ როსტოველებთან, ოღონდ თბილისში კი არა, როსტოვში. ჟორდანიამ დამიცვა ზედმეტი მღელვარებისაგან, რასაც ჩვენი, თბილისელი მაყურებლის წინაშე თამაში გამოიწვევდა. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა შემაქო და მადლობა გადამიხადა კარგი თამაშისთვის. მე ამ ქებამ შემმატა რწმენა, რაც შემდეგ დაეტყო კიდეც ჩემს თამაშს. ასე დავიმკვიდრე ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

ილია დათუნაშვილმა 47 გოლი გაიტანა ქვეყნის ჩემპიონატებში. საგულისხმოა, რომ პირველ ხუთ ჩემპიონატში, 1959-1963 წლებში, მის ანგარიშზე მხოლოდ 6 ბურთი მოდის, 1964-1967 წლებში კი — 41. ჩემპიონატების პირველ ნახევარში (მარტი-ივლისი) გატანილი აქვს 11 ბურთი, მეორე ნახევარში (აგვისტო-ნოემბერი) — 36. შეფარდება იგივეა ტაიმების მიხედვითაც: პირველ ტაიმში — 11 გოლი, მეორეში — 36. საგულისხმო სხვაობაა.

● **შემთხვევითობაა ეს თუ კანონზომიერება? — ვეკითხები თვითონ ფეხბურთელს.**

— უდავოდ კანონზომიერებაა. პირველ წლებში გოლები იშვიათად გამქონდა, რადგან ხშირად ნახევარდაცვაში ვთამაშობდი. თავდასხმაში რომ გამომიყვანდნენ, იქაც არ მქონდა მუდმივი ადგილი: ხან მარცხნივ ვთამაშობდი, ხან მარჯვნივ, ხან შემტევ ნახევარმცველად და ეს გავლენას ახდენდა შედეგიანობაზე. საუკეთესო ფორმას შემოდგომისთვის ვაღწევდი. ამიტომ ჩემპიონატების მეორე ნახევარში შედეგებიც მაღალი მქონდა. ახლა რაც შეეხება მეორე ტაიმებს. მე მუდამ ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობდი ფიზიკურ მომზადებას, გულმოდგინედ ვვარჯიშობდი, რეჟიმს არ ვარღვევდი. კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით მატჩის ბოლომდე ვინარჩუნებდი ძალას. ხშირად, როცა თამაშის მიწურულს მეტოქის მცველები დაიღლებოდნენ და შეცდომებიც მოსდიოდათ, მე ამით ვსარგებლობდი.

● **ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ბედნიერი 1964 წელი, როცა 18 ბურთიდან 12 ჩემპიონატის მეორე ნახევარში და სწორედ მეორე ტაიმებში გაიტანეთ.**

— სეზონისთვის კარგად ვიყავი მომზადებული. თითქმის ყველა საკონტროლო მატჩში გოლები გამქონდა. მაგრამ ჩემპიონატი დაიწყო და ძირითად შემადგენლობაში არ შემიყვანეს. ათი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გავატარე. იაკუშინს ვთხოვე დუბლებში მაინც ვითამაშებ-მეთქი. არაფერი გამოვიდა. მერე გუნდს კაჩალინი ჩაუდგა სათავეში და ისევ გამოვედი ძირითად შემადგენლობაში. მაგრამ ამასობაში სპორტული ფორმა დავკარგე. ჩემპიონატის მსვლელობაში ისევ დავიწყე ძალის მოკრება და შემოდგომისთვის უწინდებური ძალით დავიწყე თამაში.

● **სწორედ დროული იყო. „ტორპედოსთან“ ჭიდილში გუნდს მართლაც ძალიან სჭირდებოდით. თქვენი გოლების დახმარებით დინამოელებმა სამჯერ ქულა გადაარჩინეს, თერთმეტი შეხვედრა კი მოიგეს.**

უნდა ითქვას, რომ ეს დამახასიათებელი ნიშანია დათუნაშვილის მთელი სპორტული ბიოგრაფიისთვის. ის 47 ბურთი მან 37 მატჩში გაიტანა და მხოლოდ ერთხელ იყო, რომ მისმა გოლმა გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. დინამოელებმა დათუნაშვილის გოლების წყალობით ცხრაჯერ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა, 27 მატჩში კი გაიმარჯვეს.

კიდევ ერთი დაკვირვება: დათუნაშვილს უმეტესად თითო ბურთი გაჰქონდა (30 მატჩი), ოთხჯერ გაიტანა 2 გოლი და მხოლოდ ერთხელ — თავის ყოფილ თანაკლუბელებთან, ქუთაისის ტორპედოელებთან გააკეთა „ჰეთ-თრიკი“. მერე კი, 1966 წელს, „არარატთან“ მატჩში მან ხუთჯერ აილო მეტოქის კარი.

● **ეტყობა, იმ დღეს განსაკუთრებული ალმაფრენით თამაშობდით...**

—მართალი გითხრათ, განსაკუთრებული არაფერი შემიტყვია ჩემი თავისთვის, საერთოდაც, ჩვეულებრივი მატჩი იყო. თავიდან კიდეც მიჭირდა თამაში. მთელი პირველი ტაიმი ჩემი მეურვე ვერ მოვიშორე. მეორე ტაიმში კი უფრო თავისუფლად დავიწყე მოძრაობა. პარტნიორებს ადგილს ვუცვლიდი, სულ უფრო ხშირად ვრჩებოდი უმეთვალყურეოდ, პარტნიორებიც დროზე მაწოდებდნენ ბურთს და ისღა დამრჩენოდა დამერტყა. ისე, ბედიც მწყალობდა იმ დღეს: თითქმის ყველა ხელსაყრელი მომენტი გამოვიყენე, ეს კი საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

● **თქვენს თამაშს ახასიათებდა ეგრეთ წოდებული გოლის ალღო, ინტუიცია, რაც ბევრჯერ დაგეხმარათ მეტოქის კარის ალებაში.**

— ალბათ აჯობებს უფრო მარტივად ითქვას, რომ არ ვზარმაცობდი და მუდამ ვცდილობდი ხელმეორედ დასარტყმელად მიმესწრო, თუ რომელიმე ჩემი პარტნიორი ბურთს კარს აცდენდა. ტყუილადაც ბევრი მირბენია — მატჩის მანძილზე ოცჯერ, ოცდაათჯერ მაინც მოვწყდებოდი ადგილს და კარისკენ გავვარდებოდი. მაგრამ რა ვუყოთ მერე, ხანდახან მაინც ხომ ვაღწევდი მიზანს: ან მეკარეს გაუვარდებოდა ბურთი ხელიდან, ან ვინმე ძელს მოარტყამდა, მე კი ამ დროს დადარაჯებული ვიყავი, რომ ფეხი შემეშველებინა და ბურთი კარში შემეგორებინა. მეკარეებმა იცოდნენ, რა აბეზარიც ვიყავი, ძალაუნებურად ნერვიულობას იწყებდნენ და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ.

● **დავუბრუნდეთ მატჩს „არარატთან“. იმ შეხვედრის შემდეგ პრესაში დაიწერა, რომ თქვენი შედეგი სარეკორდო იყო საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.**

— მეც ასე მეგონა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენმა ფეხბურთის სტატისტიკოსმა კონსტანტინ ესენინმა აზრი შემაცვლევინა. მან დააზუსტა, რომ ჩემი შედეგი რეკორდის გამეორება იყო, ხოლო რეკორდი ეკუთვნოდა ლენინგრადელ შელაგინს, რომელმაც ჯერ კიდევ 1938 წელს გაიტანა ხუთი ბურთი მოსკოვის „ბურევესტნიკთან“ შეხვედრაში. მართლა იყო ვინმე ფეხბურთელი შელაგინი?

● **შელაგინი ერთი კი არა, სამი იყო: ვალენტინი, ბორისი და ევგენი. სწორედ ევგენიმ გაიტანა ხუთი გოლი.**

— იქნებ სამივემ გაიტანა და მარტო ევგენის მიაწერეს? — იცინის ილია.

● **არა, მაშინ ისინი სხვადასხვა გუნდში თამაშობდნენ. ისე კი, სარეკორდო სწორედ თქვენი შედეგი იყო.**

— როგორ?

● **ჯერ ერთი, შელაგინმა ის ბურთები გაიტანა მთელი მატჩის მანძილზე, თქვენ კი — მხოლოდ მეორე ტაიმში, 27 წუთში. შელაგინს ეკუთვნის 6-დან 5 ბურთი (მისმა გუნდმა იმ დღეს 6 გოლი გაიტანა), თქვენ კი — 5-დან 5, ანუ 100 პროცენტი; შელაგინმა ის ბურთები გაიტანა მეტად სუსტ გუნდთან (უკანასკნელი, 26-ე ადგილი), მატჩში, თქვენ კი ძლიერ, ტრადიციულად ძნელად დასაძლევ მეტოქეს ხვდებოდით; დასასრული. შელაგინის დროს გოლის გატანა უფრო ადვილი [illegible] შემტევ ფეხბურთელს [illegible], 60-იანი წლების დასასრულს კი თანდათან გამოიკვეთა დაცვის ტენდენციები და კარის ალებაც ბევრად უფრო გაძნელდა.**

— მე კი ვეთანხმები თქვენს დასკვნებს, მაგრამ ალბათ მაინც ჯობდა მეექვსე გოლიც გამეტანა, რათა საეჭვო აღარაფერი ყოფილიყო.

● **კიდევ ერთი რამ მინდა გკითხოთ: თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენ არათუ მინდვრიდან არ გაუძევებიხართ, გაფრთხილებაც კი არასოდეს მიგიღიათ. მაგრამ ირანის ნაკრებთან შეხვედრისას — სხვათა შორის, ეს თქვენი ბოლო მატჩი იყო თბილისის „დინამოში“ — მინდვრიდან გაგაძევეს. რა მოხდა?**

— აბა რა გითხრათ. საერთოდ ძალიან მომთმენი კაცი ვარ. უხეშობასაც ბევრჯერ გადავწყდომივარ, მსაჯების არაობიექტურობასაც, მაგრამ არც მსაჯს შევკამათებივარ და არც უხეში მოთამაშისთვის მიპასუხია. ირანში იქაური არბიტრი ისე იქცეოდა, მეც კი ველარ ძოვითმინე და ყველაფერი მოვახსენე, რასაც მის მსაჯობაზე ვფიქრობდი. თანაც, რაკი დარწმუნებული ვიყავი, რომ ქართული არ ესმოდა, გამოთქმების შერჩევისთვის თავი მაინცდამაინც არ შემიწუხებია. სიტყვები ვერ გაიგო, რა თქმა უნდა, მაგრამ, ეტყობა, სახის გამომეტყველებით მიხვდა ნათქვამის აზრს და გამომიცხადა, მოედანი დატოვეო. ამასობაში თამაშის დროც ამოიწურა და გასვლა ველარ მოვასწარი, — გუნდთან ერთად დავტოვე მინდორი. აი, ახლა თქვენგან შევიტყვე, რომ მაინც შეუტანია ოქმში ის განაჩენი.

● **არ გენატრებათ ხოლმე ფეხბურთი, მწვანე მინდორი?**

— მე და ფეხბურთი დღესაც განუყრელნი ვართ. ხშირად ვთამაშობ დილომში, ჩვენი გუნდის ბაზის მოედანზე ბორის სიჭინავასთან, სლავა მეტრეველთან, გურამ პეტრიაშვილთან და სხვა ბიჭებთან ერთად. ყურადღებით ვადევნებ თვალს ჩემპიონატის შეხვედრებს. არ გამომიტოვებია არც ერთი მატჩი, რომელშიც თბილისის „დინამო“ მონაწილეობს.

● **ალბათ ძველსა და ახალ ფეხბურთს ხშირად ადარებთ კიდეც ერთმანეთს...**

— მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც ამტკიცებს, რომ ჩვენი თაობა დღევანდელზე უკეთ თამაშობდა. ამგვარი შედარება უნაყოფოა. ფეხბურთი ისევე სწრაფად ვითარდება, როგორც ყველაფერი ჩვენს ირგვლივ. შეიცვალა თამაშის ხასიათი, ტემპმა იმატა, გაიზარდა ფიზიკური დატვირთვა... სამაგიეროდ მატჩები ნაკლებ საინტერესოა სანახაობრივი თვალსაზრისით, ნაკლებად გვყავს მართლაც გამორჩეული, კაშკაშა ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელები. ერთი სიტყვით, კარგიც ბევრია და ცუდიც. მაგრამ მე, რაღა თქმა უნდა, სამოციანი წლების ფეხბურთი მირჩევნია. მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ ვთამაშობდი ისეთი გამოჩენილი ფეხბურთელების გვერდით, როგორიც იყვნენ მესხი, მეტრეველი, ბარქაია, კოტრიკაძე, იამანიძე, ხურცილავა და სხვები. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ქართველ ფეხბურთელთაგან პირველად ჩვენ მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.

აკაკი ვართანიანი.

შედეგიანობა საკავშირო ჩემპიონატებში

წლები	სულ		საქ. მინდორზე		სტუმრად		ნეიტრ. მინდორზე	
	მატჩები	გოლები	მატჩები	გოლები	მატჩები	გოლები	მატჩები	გოლები
1959	2	0	1	0	1	0	—	—
1960	15	0	7	0	8	0	—	—
1961	20	5	11	2	9	3	—	—
1962	26	0	14	0	12	0	—	—
1963	26	1	13	1	13	0	—	—
1964	24	13	11	7	12	4	1	2
1965	26	2	13	2	13	0	—	—
1966	32	20	15	12	17	8	—	—
1967	28	6	13	2	15	4	—	—
	199	47	98	26	100	19	1	2

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი
47
უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

11 და 12 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 32-ე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ სტატისტიკურ მონაცემებს.

„დნეპრი" — „ზენიტი" 0:1 (0:0). ამ მეტად მნიშვნელოვან მატჩში, სადაც ერთმანეთს ჩემპიონობის პრეტენდენტები ხვდებოდნენ, ზენიტელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს მელნიკოვის მიერ 64-ე წუთზე გატანილი ბურთის მეოხებით.

გააფრთხილეს ლენინგრადელი ფეხბურთელი დავიდოვი.

დუბლიორები — 2:0.

„არარატი" — „ფახთაქორი" 4:0 (2:0). ერევნელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. ბურთები გაიტანეს მხითარიანმა, ჩილინგარიანმა, ოჰანესიანმა და მელიქიანმა.

გააფრთხილეს ტაშკენტელი იურჩიშინი.

დუბლიორები — 1:1.

„ტორპედო" — „დინამო" (კიევი) 2:2 (0:2). კიეველების მიხაილიჩენკოსა და ბლოხინის (პენალტი) 2 გოლი გაქვითა რედკოუსმა (ერთი — პენალტით).

დუბლიორები — 2:3.

„ნეფთჩი" — „სპარტაკი" 0:2 (0:2). სპარტაკელთაგან ორივე ბურთი ჩერენკოვმა გაიტანა.

გააფრთხილეს ბაქოელი მიხაილევსკი.

დუბლიორები — 2:3.

„შახტიორი" — „დინამო" (მინსკი) 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს გრაჩოვმა და კრავჩენკომ (პენალტი).

დუბლიორები — 1:0.

„მეტალისტი" — „ჟალგირისი" 3:2 (2:1). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს იაკუბოვსკიმ, ბონდარენკომ და ტალკომ, ხოლო „ჟალგირისის" მხრივ — ბარანაუსკასმა და იაკუბაუსკასმა.

გააფრთხილეს „ჟალგირისის" მეკარე იურკუსი და „მეტალისტის" მცველი სუსლო.

დუბლიორები — 3:0.

ცსკა — „ჩერნომორეცი" 1:6 (1:2). ოდესელმა ბელანოვმა გაიტანა 3 ბურთი, პასულკომ — 2 და ერთიც — ბაგაპოვმა, ამ 6 გოლს არმიელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (კოლესნიკოვი).

დუბლიორები — 2:0.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა სიას ახლა მეთაურობს ერევნის „არარატის" თავდამსხმელი მხითარიანი — 18 ბურთი. 17 გოლი გაიტანა დნეპროპეტროვსკელმა პროტასოვმა, 16 — ლენინგრადელმა ჟელუდკოვმა, 15 — ხარკოველმა ტარასოვმა.

● **ზედიზედ** 7 ტურის მატჩებში დაუმარცხებლად თამაშობენ მოსკოვის „სპარტაკი" და ლენინგრადის „ზენიტი", მოსკოვის არმიელებს არც ერთხელ არ გაუმარჯვიათ ბოლო 12 ტურში, ხოლო როსტოვის არმიელებს— ბოლო 7 ტურში.

● **წლევანდელ** სეზონში მეოთხე გაფრთხილება მიიღო ტაშკენტის „ფახთაქორის" მოთამაშემ იურჩიშინმა, მესამე — ვილნიუსის „ჟალგირისის" მეკარემ იურკუსმა, აგრეთვე, ბაქოელმა მიხაილევსკიმ და ლენინგრადელმა დავიდოვმა.

● **დარჩენილი** 2 ტურის შედეგების მიუხედავად თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა საბოლოოდ გაინაღდეს მესამე ადგილი, რაც შეეხება ჩვენს ძირითად შემადგენლობას, როგორი შედეგებითაც არ უნდა დამთავრდეს დარჩენილი 2 ტურის მატჩები, მას შეუძლია გაიუმჯობესოს მდგომარეობა, უარეს შემთხვევაში კი, მე-8 ადგილზე დაბლა არ ჩამოქვეითდება.

● **სსრ კავშირის** 1984 წლის ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა ახლა დარჩა მხოლოდ ორ გუნდს — ლენინგრადის „ზენიტს" (43 ქულა) და მოსკოვის „სპარტაკს" (39 ქულა). ლიდერებს დარჩენილ კალენდარულ მატჩებში ვერც ერთი გუნდი ვეღარ ეწევა. შეგახსენებთ: „ზენიტი" შინ ღებულობს დონეცკის „შახტიორს" და ხარკოვის „მეტალისტს", ხოლო მოსკოვის „სპარტაკი" 17 ნოემბერს შინ თამაშობს თბილისის „დინამოსთან", შემდეგ კი სტუმრად გამოდის ერევანში და დონის როსტოვში.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 15 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი"	32	20	8	4	55-27	48
„დინ." კ.	32	22	3	7	56-25	47
„დინ." თბ.	32	18	4	10	63-39	40
ცსკა	32	13	10	9	44-31	36
„ქაირათი"	32	15	5	12	41-35	35
„ნეფთჩი"	32	14	6	12	42-38	34
„ზენიტი"	32	13	7	12	34-36	33
„შახტიორი"	33	13	6	14	40-36	32
„დინ." მ.	32	12	8	12	42-38	32
„დინ." მნ.	32	12	8	12	45-46	32
„მეტალის."	32	12	8	12	42-49	32
„ტორპედო"	32	12	5	15	48-51	29
„ჟალგირ."	33	11	6	16	35-51	28
ასკ რ.	31	9	10	12	30-44	28
„არარატი"	32	9	9	14	29-43	27
„სპარტაკი"	31	7	10	14	41-53	24
„ფახთაქ."	32	7	9	16	35-56	23
„ჩერნომ."	32	4	8	20	30-54	16

პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესარჩევი

ცხინვალში ახლახან მოეწყო საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ტრადიციული შესარჩევი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და გორის (1970-72 წლებში დაბადებულნი) ნაკრები გუნდები, ტურნირი მიზნად ისახავდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატთა შერჩევას მომავალი საკავშირო სპარტაკიადისთვის.

შეჯიბრება კარგად ჩაატარა თბილისის გუნდმა (მწვრთნელები ნ. ლეჟავა და ჟ. ლეჟავა), რომელიც დაკომპლექტებული იყო მე-12 (დირექტორი ა. ბერულავა) და 48-ე (დირექტორი გ. გელაშვილი) საშუალო სკოლების სპეცკლასების ბაზაზე. მეორე ადგილზე გავიდა სამხრეთ ოსეთის გუნდი (მწვრთნელები ჯ. მეტრეველი და ვ. ქოზაევი), მესამეზე — ქუთაისის ნაკრები (მწვრთნელები ლ. ჯანელიძე და ლ. კეჭეხმაძე).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ცალკეულ ფეხბურთელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კარგი თამაშით, გადაეცათ სპეციალური ჯილდოები: საუკეთესო მეკარედ აღიარეს გაგრელი გ. ბაბუაძე, მცველად — ქუთაისელი ვ. მუშკუდიანი, ნახევარმცველად — თბილისელი დ. ნეფარიძე, თავდამსხმელად — თბილისელი ვ. ამირიძე. ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის ჯილდო დაისაკუთრა მ. ჯიშკარიანმა (გაგრა), ყველაზე საზრიანი ფეხბურთელისა — ი. ნასუყაშვილმა (ცხინვალი). ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი იყო ოჩამჩირელი გ. გაბისონია, ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა გორელმა ვ. ხორგუაშვილმა. პერსპექტიულ ფეხბურთელთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ თბილისელ კ. წიკლაურსა და ბათუმელ ე. აფხაზავას, შეჯიბრების ყველაზე ნორჩი მონაწილე იყო თ. გაბარაევი (სამხრეთ ოსეთი).

ტურნირმა გამოავლინა სხვა ნიჭიერი ფეხბურთელებიც: გ. ჰელიძე, დ. წიქარიშვილი, ა. ხეჩიკაშვილი, ზ. იანუშევი, ლ. აბააშვილი (ყველა — თბილისიდან), ვ. ქაჯუთია, მ. მამარდაშვილი (ორივე — აფხაზეთიდან), დ. ცაბაძე, ე. ჰოლაძე, დ. ჰუმბურიძე, გ. ივანეიშვილი (ყველა — ქუთაისიდან), ო. დუდაევი, მ. სანაკოევი, მ. მამაცაშვილი (ყველა — სამხრეთ ოსეთიდან), ჯ. მუსხაჯბა და ა. ხიბაია (ორივენი — აჭარიდან), ვ. კოშკაძე, დ. ქოქოშვილი (ორივენი — გორიდან) და სხვები.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შეარჩიეს საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრების კანდიდატები, რომლებიც მზადებას განაგრძობენ მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ბიჭი მუმლაძე,
საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.



იუმორი

უსიტყვოდ

ლერი სიხარულიძის ნახატი.

თავისუფალი ჭიდაობა

მკითხველმა უკვე იცის, რომ კიშინიოვში დამთავრებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ახალგაზრდულ ტურნირში წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ფალავნებმა. ახლა გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გივი კვარაცხელია (60 კგ), ზურაბ ბერიაშვილი (65), გია კვინიკაძე (70), ელგუჯა კვარაცხელია (75) და როლანდ ქორიძე (81). მესამე ადგილები ხვდათ წილად გია სისაურს (65), ემზარ ხაჩიძეს (75) და დავით კვინიკაძეს (97).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და ქალაქების გუნდები, სულ 350 სპორტსმენი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ ტურნირზე იცავდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ნაკრები, რომელსაც ავარჯიშებენ ჯიმი გოგსაძე და ნოდარ ხალიევი.

ჩოგბურთი

ლონდონში გაიმართა „გრან პრის" პროგრამით გათვალისწინებული დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც დედამიწის უძლიერესი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ. ბრწყინვალედ იასპარეზა მსოფლიოს მე-3 ჩოგანმა, ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა. ნახევარფინალში მან საკმაოდ იოლად მოუგო მე-2 ჩოგანს, ამერიკელ ჯიმი კონორსს — 6:4, 6:2. სხვათა შორის, ამ სპორტსმენთა შეხვედრებში აშკარა უპირატესობა კონორსის მხარესაა — 19 მატჩიდან მან 13-ჯერ გაიმარჯვა. მეორე ნახევარფინალში ანდრეს გომესმა (ეკვადორი) პიტერ ფლემინგს (აშშ) სძლია. ლენდლმა მეტად ძლიერად ჩაატარა ფინალური პაექრობაც. დაძაბული ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში შედგა, მერე კი გომესმა ფაქტიურად შეწყვიტა ბრძოლა. შეხვედრის ანგარიშია 7:6, 6:2, 6:1 ლენდლის სასარგებლოდ.

სურათზე: ივან ლენდლი.

• • •

„გრან პრის" პრეტენდენტების მდგომარეობა ამჟამად ასეთია: ჯონ მაკინროუ (აშშ) — 3118 ქულა (10 ტურნირის შემდეგ), ჯიმი კონორსი (აშშ) — 2693 (13), ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 2404 (12), ანდრეს გომესი (ეკვადორი) — 2047 (17), მატს ვილანდერი (შვეცია) — 1658 (12), სვენ ნისტრიომი (შვეცია) — 1199 (21), ერიკ სუნდსტრიომი (შვეცია) — 1193 (19), ტომაშ შმიდი (ჩეხოსლოვაკია) — 1104 (23).

ქალები „ვირჯინია სლიმსის" პრიზს ეცილებიან ერთმანეთს. ლიდერთა „კვარტეტი" ასეთია: მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 2100, ქრის ევერტ-ლოიდი (აშშ) — 1185, ჰანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 1185, მანუელა მალეევა (ბულგარეთი) — 1170.

• • •

ნიუ-იორკი. პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციამ ბოლო 12 თვის შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით შეადგინა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეული, რომელშიც შევიდნენ: 1. ჯ. მაკინროუ, 2. ჯ. კონორსი (ორივე — აშშ), 3. ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 4. მ. ვილანდერი (შვეცია), 5. ა. გომესი (ეკვადორი), 6. ა. იარიდი, 7. ჰ. სუნდსტრიომი, 8. ი. ნისტრიომი (ყველა — შვეცია), 9. ჯ. არიასი (აშშ), 10. პ. კეში (ავსტრალია).

რეგბი

ბუქარესტი. ევროპის რეგბისტთა 21-ე ჩემპიონატს ლიდერობს საფრანგეთის ეროვნული ნაკრები, რომელმაც ამას წინათ აქ დაამარცხა რუმინეთის გუნდი — 18:3 (6:0). ფრანგებმა პირველი მატჩიც დიდი უპირატესობით მოიგეს ტუნისის ნაკრებთან (25:6) და ახლა 6 ქულა აქვთ. წარმატებით დაიწყეს ჩემპიონატი ბრინჯაოს შარშანდელმა პრიზიორებმაც — იტალიელებმა. მათ დაამარცხეს ტუნისის გუნდი — 20:6. 18 ნოემბერს კი საბჭოთა რეგბისტებს უმასპინძლებენ.

ინფორმაცია

თამაშები განახლდება

დელი. ინდოეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ გადაწყვიტა განაახლოს ეროვნული სპორტული თამაშები. როგორც ასოციაციის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ვიდია ჩარან შუკლამ განაცხადა, თამაშები ჩატარდება ორ წელიწადში ერთხელ და მიეძღვნება გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ინდირა განდის ხსოვნას. თამაშების გახსნის ცერემონიალი მუდამ ერთსა და იმავე დღეს — ინდირა განდის დაბადების დღეს, 19 ნოემბერს გაიმართება.

წყალბურთი

მოსკოვი. წყალბურთელთა საკავშირო თასის გათამაშების პირველ ეტაპზე 22 გუნდი ასპარეზობდა. მათგან შემორჩა ფინალისტთა ოთხეული, რომელშიც მოხვდა მოსკოვის სამი გუნდი — ცსკ ვმფ, „უნივერსიტეტი", „დინამო" და ალმა-ათის „დინამო". გადამწყვეტი შეხვედრები დაიწყო გუშინ.

ველოსპორტი

ხოშიმინი. აქ ჩატარდა სამხრეთის ქალაქებისა და პროვინციების ორდღიანი ველორბოლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 80-ზე მეტმა სპორტსმენმა. ასპარეზობა მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 67 და ვიეტნამის სახალხო არმიის 40 წლისთავს. 364 კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად ხოშიმინელმა ვინ ტხანმა დაფარა — 10:22.32.

ფეხბურთი

როგორც გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰერმან ნოიბერგერმა განაცხადა, იგი აპირებს ფედერაციის ხელმძღვანელობას და მწვრთნელთა საბჭოს წარუდგინოს პროექტი, რომ ბუნდესლიგის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რიცხვი 18-დან 16-მდე შეამცირონ. ახალი პროექტის მიხედვით, კალენდარული ტურები უნდა ჩატარდეს სამშაბათობით და პარასკეობით, ზამთარში კი, ნოიბერგერის აზრით, უნდა შემოიღონ ათკვირიანი შესვენება — დეკემბრიდან თებერვლის ბოლომდე.

გფრ-ის სპორტული პრესა წერს, რომ ბუნდესლიგის კლუბების მესვეურნი არ მოიწონებენ ამ პროექტს.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15075